

ახალი დაუშვილი

მზეთუნახავ ცაბუსა და
კაცუნა ღუღუსის
თავგადასავალი



ახალი დაუშვილი

მზეთუნახავ ცაბუსა
და კაცუნა დედუსის
თავგადასავალი



მერილიანი
2023

აკაკი დაუშვილი

მზეთუნახავ ცაბუხა და კაცუნა დუდუსის თავგადასავალი

რედაქტორი

ვანო ჩხიკვაძე

მხატვარი

მალხაზ კუხაშვილი

დამკაბადონებელი

თამარ სტეფნაძე



**საქართველოს
კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის
სამინისტრო**



**შემოქმედებითი
საქართველო**

ნიგნი გამოიცა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის
სამინისტროს და „შემოქმედებითი საქართველო“ ხელშეწყობით

© ა. დაუშვილი

გამომცემლობა „მერიდიანი“, 2023

ISBN 978-9941-34-218-9

თურმე რა არ ხდება საზღაპრეთში!

ის, რაც ცხადში წარმოუდგენელია, საზღაპრეთში არაფერია შეუძლებელი – ფურცლის მტრედმა, მეზობელი გოგონას ფანჯარაში რომ შეფრინდა, ერთმანეთს ბიჭის და გოგონას დახატული, სასაცილო კაცუნა, ძალი ბინგო და ვარდისფერ კაბიანი მზეთუნახავი შეახვედრა.

ზღაპარი რის ზღაპარია, თუ მისი გმირები ფურცელზე უმოძრაო ნახატებად დარჩებოდნენ – კეთილი ჯადოქრის წყალობით, ქალაქს რომ გადაუფრინა, გაცოცხლდნენ, დამეგობრდნენ და აქედან დაიწყოს საინტერესო თავგადასავალი, რაც შემდგომში გადახდათ...

ამ ყველაფერს, ნორჩი მკითხველი ცნობილი საბავშვო მწერლის აკაკი დაუშვილის ნაწარმოებში „მზეთუნახავ ცაბუსა და კაცუნა დუდუსის თავგადასავალი“ – გაეცნობა.

ზღაპარში, როგორც წესი, რა თქმა უნდა საბოლოოდ სიკეთე, ერთმანეთის თანადგომა, სილამაზე იმარჯვებს და მწერალი, ამ მარადიულ ღირებულებათა დასაცავად მოუწოდებს თავის ერთგულ მკითხველებს.

ჰანო ჩხიკვაძე






გეთუნახავ ცაზუსა და ჯაცუნა დუდუსის თავგადასავალი

– დედა, ეზოში ჩავალ, ბიჭები მეძახიან, – თორმეტიოდე წლის ბიჭი წინკარში გავიდა და ბურთს ხელი დაავლო.

– ჯერ გაკვეთილებს მიხედე! – სამზარეულოდან გამოსძახა დედამ.

ბიჭი სანერ მაგიდას უხალისოდ მიუჯდა, ფურცელზე კაცუნა დახატა, გვერდით ძალლი მიუჯლაბნა, კიდეზე მზე მიუხატა, აცა-ბაცა ასოებით რაღაც დანერა, ფანქრები მაგიდაზე მიყარა, ოთახ-



იდან უჩუმრად გავიდა, კიბეს სირბილით დაუყვა და ამხანაგებთან ერთად ბურთს დაუნყო დევნა.

ბიჭებმა თამაში მხოლოდ ერთხელ შეწყვიტეს, როდესაც ციდან სტვენისა თუ სისინის ხმა მოესმათ. ზევით აიხედეს, მაგრამ მცხუნვარე მზისა და ცისარტყელას მეტი ვერაფერი შენიშნეს. არავინ დაფიქრებულა, წვიმის გარეშე ცისარტყელა საიდან გაჩნდაო.

შინ დაბრუნებულმა ბიჭმა ნახატს დახედა. მერე ფურცლისაგან მტრედი გააკეთა და ფანჯრიდან გაუშვა. მტრედი მსუბუქად გასრიალდა, ნიავს მარჯვნივ გაჰყვა, გვერდით მდგარი სახლის ფან-

ჯარაში შეფრინდა და მაგიდაზე დაეშვა. მაგიდასთან მჯდარი გოგონა შეკრთა, ქალღმერთის მტრედი გაშალა და სასაცილო კაცუნასა და ძაღლის დანახვაზე გაელიმა. მერე თავის დახატულ მზეთუნახავს სამეფლისო კაბა ვარდისფრად შეუფერადა, ფანჯარა მიხურა და ოთახიდან გავიდა.

კაცუნამ თვალები დააფახულა, ხელ-ფეხი გააქნია, ფურცლიდან მკვირცხლად წამოხ-





ტა და მაგიდაზე გაიარა. თმა ბასრი მავთულებივით ამოსწროდა და მეტად გრძელი ცხვირი კოდალას ნისკარტს მიუგავდა. შარვლის ცალი ტოტი მოკლე ჰქონდა, ცალი კი სასაცილოდ დასთრევდა. კაცუნა დაიხარა და ბატიფეხურით დანერილი სახელი გაჭირვებით ამოიკითხა. დუდუსი, დუდუსი მქვია, – ხმამაღლა თქვა კაცუნამ. მერე ძაღლის სახელი წაიკითხა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მზეთუნახავის დანახვაზე ადგილზე გახევდა. მხოლოდ განწირულმა წრიპინმა მოიყვანა გონს. კაცუნა მაგიდიდან სკამზე ჩახტა, სკამიდან – იატაკზე და ოთახის ერთ კუთხეში ვეება კატა დალანდა, რომელსაც თავი მიემწყვდია და შეჭმას უპირებდა. დუდუსიმ თავი დახარა, მოძალადისაკენ გაექანა, მაგრამ ფეხებში შარვლის ტოტი გაებლანდა და წაიქცა. საბედნიეროდ, კატამ ვერ დაინახა. კაცუნამ ჩამოშვებული შარვლის ტოტი აიკეცა და ნემსებივით თმა აძგერა მოძალადეს. კატამ დაიჩხავლა და სიმწრისაგან თავი მიავიწყდა. დუდუსიმ იმარჯვა და შეშინებულ წრუნუნას სოროსკენ უბიძგა. როდესაც დამშვიდდნენ და თავგმა მადლობის გადასახ-



დელად პირი დაალო, კივილი მოისმა – მზეთუნახავი გაცოცხლებულიყო და კატა ახლა მისკენ მიიწევდა. დუდუსი მზეთუნახავს გადაეფარა. ცბიერმა ცხოველმა არამკითხე კაცუნას დამცინავი თვალებით შეხედა და ცხვირ-პირი მოილოკა. უცებ ნახატიდან ძაღლმა ისკუპა, დაიყეფა და მტერს შეუტია. ძაღლს ცალი ყური დიდი ჰქონდა, ხოლო მეტისმეტად გრძელი და დაგრეხილი კუდი ზამბარასავით აპრეხოდა. ერთი ციცქნა და თანაც მახინჯი ძაღლის დანახვა კატამ აინუნშიც არ ჩააგდო, თათის დაკვრა მოუნდომა, მაგრამ ძაღლმა უკბინა და კიდევ უფრო გაავეებით აყეფდა. გამწარებულმა კატამ იფიქრა, მართალია, ერთი ბენოა, მაგრამ მაინც ძაღლია და ჯობს, გავეცალოო.

მზეთუნახავი ჯერ ძაღლს მიეფერა და მერე კაცუნას ჰკითხა:

- რა გქვია?
- დუდუსი!
- ძაღლს?
- ბინგო!
- ჩემი სახელი რომ არ ვიცი? – მზეთუნახავმა მოიწყინა.
- ცაბუს დაგიძახებ!
- ცაბუ? ჰო, ლამაზი სახელია.

თურმე იმ დღეს ქალაქს კეთილმა ჯადოქარმა გადაუფრინა და ბავშვების ნახატები გააცოცხლა. ცისარტყელაც ჯადოქარმა გააჩინა.

ბინდებოდა, როდესაც კაცუნა დუდუსიმ, მზეთუნახავმა ცაბუმ და ძაღლმა ბინგომ უზარმაზარ ციხე-ქალაქს მოჰკრეს თვალი. გალავნის ქონგურებს მიღმა სახლების ფერადი მინები და სახურავები თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებდა. დროდადრო ციხე-ქალაქიდან მოციმციმე შუშხუნები ამოიფრქვეოდა ხოლმე და არემარეს ვარსკვლავების წვიმასავით ეფინებოდა. როდესაც ციხე-ქალაქის ოქროთი და ვერცხლით მოჭედებულ რკინის ჭიშკარს მიადგნენ, მხიარული მუსიკის ხმებიც შემოესმათ. ბინგომ ჭიშკარ-



თან მიიღბინა, ის იყო, უნდა დაეყეფა, რომ მძიმე კარი ნელ-ნელა გაიღო. ბინგომ კუდი გაიქნია და ცაბუსა და დუდუსის მოხედა. უცებ ლამაზ ტანსაცმელში გამონყობილი შუბოსნები გამოჩნდნენ.

– ჯერ მზეთუნახავი შემოვიდეს! – ბრძანა წითელმოსასხამიანმა მცველმა.

ცაბუ კარში შევიდა. მას დუდუსი მიჰყვა, მაგრამ შუბოსნებმა გზა გადაუღობეს.

– არ შეიძლება! – ხმა აიმაღლა წითელმოსასხამიანმა.

– შემოუშვით, რატომ არ უშვებთ? – იკითხა ცაბუმ.

– ლუანდროს ბრძანებით, ციხე-ქალაქში მხოლოდ ლამაზებს ვუშვებთ! – მკაცრად თქვა მწვანემოსასხამიანმა.

– ლუანდროსი? – გაიკვირვა დუდუსიმ.

– ლუანდრო ჩვენი ხელმწიფეა, – ამაყად უპასუხა მწვანემოსასხამიანმა.

– ჩემს მეგობრებს ვერ მივატოვებ, სიკვდილს გადამარჩინეს, – ცაბუს თვალზე ცრემლი მოადგა.

– ლუანდროს ბრძანებას ვერ დავარღვევთ, – გადაჭრით თქვა წითელმოსასხამიანმა, – თქვენ უცნაურთა ციხე-ქალაქში წადით!

რკინის უზარმაზარი კარი უხმოდ ამოძრავდა.

– გამიშვით, დუდუსისთან მინდა! – იყვირა ცაბუმ.

შუბოსნებმა მზეთუნახავი გააკავეს. კაცუნა ცაბუს საშველად გაექანა, მაგრამ კარში ველარ შეასწრო, მხოლოდ ბინგომ იმარჯვა და გაძრომა მოახერხა. დუდუსიმ ქონგურებს ახედა, დანალვლიანებული ლოდზე ჩამოჯდა, მკლავები მუხლისთავებზე დააბჯინა და სახე ხელისგულებში ჩამალა. სახურავებზე ლამაზი დროშები ფრიალებდა. უცებ მხარზე ხელის შეხება იგრძნო. თავი ასწია. მის წინ დიდთავა, ელამი კაცუნა იდგა.

– არ შეგიშვებს? – ჰკითხა დიდთავამ.

– არა!

– არც მე. ლამაზი არა ხარო!.. რა გქვია?



– დუდუსი! შენ?

– ლოკოსი!.. იცი, ამ ციხე-ქალაქში მუდამ მხიარულობენ.

– იქ ცაბუა, ვარდისფერკაბიანი მზეთუნახავი. მე, ძალღი ბინგო და მზეთუნახავი ცაბუ ერთად მოვედით. მე და ბინგო არ შეგვიშვეს. ცაბუ ტიროდა, ალბათ ჩვენზე ძალიან დარდობს.

– უკან რატომ არ დაბრუნდა?

– აღარ გამოუშვეს.


ლოკოსი ლოდზე ჩამოჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო:

– ძალღი სადღაა?

– ბინგო შუბოსნებს გაუსხლტა. ცაბუსთან იქნება.

უეცრად ლოდთან მონჯლრეული ეტლი გაჩერდა. ეტლში ორი გაძვალტყავებული ჯაგლაგი ცხენი შეეხათ. კოფოზე შემომჯდარ-მა სქელმა, თავმოტვლეპილმა და ტუჩმოღრეცილმა მეეტლემ შოლტიანი ხელი დაუშვა და დუდუსისა და ლოკოსის მბრძანებლურად გადმოსძახა:

– ამოდით, რა პირდაღებულები მომჩერებიხართ? – ტუჩი კიდევ უფრო მოღრიცა, შოლტი დაატრიალა და მთელი ხმით იყ-



ვირა, – დასხედით! უცნაურთა ციხე-ქალაქის მბრძანებელი ჟაჟუ ლაშქარს აგროვებს.

დუდუსი და ლოკოსი ეტლში ჩასხდნენ. შოლტმა გაძვალტყავებული ცხენების გავაზე გაიტყლაშუნა და ეტლი ღრჭიალითა და ხრიგინით დაიძრა.

– ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი, – დანანებით ჩაილაპარაკა ლოკოსიმ.

– ნეტავ როგორ არიან ცაბუ და ბინგო? – დუდუსიმ თვალზე მომდგარი ცრემლი სახელოთი შეიმშრალა.

მალე ნაცრისფერი ციხე-ქალაქის ჩამონგრეული კედლები და დაბრეცილი ქონგურები გამოჩნდა. ეტლი კარმორღვეულ ჭიშკარში ისე შეგრიხინდა, რომ არავინ შეჰგებებიათ. ტუჩმორეცილმა ეტლი შეაჩერა და მგზავრებს გადმოსძახა:

– ჩამოდით, აგერ, თქვენი სახლი. საყვირის ხმაზე მოედანზე ჩამოდით!

დუდუსი და ლოკოსი ეტლიდან ჩამოვიდნენ და ფანჯრებჩამსხვრეული ძველი სახლისკენ გაემართნენ. აივნის მოაჯირზე ვეება ფრინველი შემომჯდარიყო. ვერ გაარკვევდი, მის დამხატავს არნივის გამოსახვა უნდოდა, ინდაურისა თუ ფარშავანგისა.

– ფრთხილად, არ დაგვეკორტნოს, – შეშინდა ლოკოსი.

კარი გაიღო და აივანზე ბერიკაცი გამოვიდა. კოჭლ მოხუცს ნახევრად წითელი და ნახევრად ლურჯი წვერი გაჩეჩილი მატყლივით გაჰბურძგნოდა.

– ვისია ეს ფრინველი? – იკითხა ლოკოსიმ.

– ერთად დაგვხატეს. ლოლა ჰქვია. მე კი საბას მეძახიან. ლოლა კეთილი ფრინველია, არაფერს დაგიშავებთ.

– მეეტლემ თქვა, ჟაჟუ ლაშქარს აგროვებსო, – დუდუსიმ ფრინველს ფრთაზე ხელი გადაუსვა.

– ჟაჟუ ლამაზეთის ციხე-ქალაქზე თავდასხმას აპირებს, – ამოიოხრა ბერიკაცმა.

– როდის? – აღელდა დუდუსი.

– არ ვიცი, ცალთვალა და ცალხელა ჟაჟუ ლონიერ და მამაც მთავარსარდალს ეძებს. გაიძახის, ლამაზთა ციხე-ქალაქის მცხოვრებნი უნდა დაისაჯონ, ბოროტები და გულცივები არიანო.

– იქ ცაბუა, კეთილი მზეთუნახავი, და კიდეც – გულადი ძალლი ბინგო, – სიტყვა შეანწყვეტინა დუდუსიმ.

– კეთილები და ბოროტები აქაც არიან და იქაც, – დაასკვნა საბამ.

– რაღაც უნდა ვიღონოთ! – წამოიძახა ლოკოსიმ.

საყვირის ხმა გაისმა.

– წავიდეთ, მოედანზე გვიხმობენ, – თქვა ბერიკაცმა.

მოედნამდე დაკლაკნილი ქუჩებით იარეს. მოედნის ცენტრში სახელდახელოდ გამართულ ფიცარნაგზე ჟაჟუ იდგა. სამარისებურ სიჩუმეში მის სიტყვას ელოდნენ. ჟაჟუმ უცნაურთა ციხე-ქალაქის მცხოვრებთ მზერა მოავლო, ფეხი წინ წადგა, ერთადერთი

ხელი აღმართა და ჩახრინნული ხმით წარმოთქვა:

– ლამაზთა ციხე-ქალაქში ჩვენისთანებს არ უშვებენ. ლუანდროს ვეზიზღებით.

– მართალია! – ერთხმად იყვირეს შეკრებილებმა.

– ბედმა გაუღიმათ, ნიჭიერმა და ბეჯითმა ბავშვებმა რომ დახატეს, – კიდევ უფრო დამაჯერებლად და რიხიანად განაგრძო ჟაჟუმ, – ისიც არ ჰყოფნით, ლამაზები რომ არიან, ყველაფერ კარგსაც ისაკუთრებენ.

– იქ კეთილებიც არიან, – დუდუსის ხმა ღრინანცელმა ჩაახშო.

– ლამაზთა ციხე-ქალაქზე გავილაშქროთ! – ომახიანად იყვირა ჟაჟუმ.

– გავილაშქროთ! – ქუხილივით გაისმა შეკრებილთა ხმა.

დუდუსი მიხვდა, რომ არავინ მოუსმენდა, და ლოკოსის გადაულაპარაკა:

– როგორმე ლამაზთა ციხე-ქალაქის მცველები გააფრთხილე, რომ ჟაჟუმ მათზე გალაშქრებას აპირებს.

– თქვენ ხედავთ, – განაგრძო ჟაჟუმ, – ცალი თვალი და ცალი ხელი მაკლია, სარდლობას ვერ შევძლებ, ამიტომ მთავარსარდალი თქვენს შორის უნდა შევარჩიო.

– დაასახელე და დაგთანხმდებით!

– არა, ასე არ ივარგებს. მთავარსარდალი ყველაზე ღონიერი და მოხერხებული უნდა იყოს. მთავარსარდალი გახდება ის, ვინც თავის პირველობას მუშტისა და მკლავის ძალაში დაამტკიცებს. მსურველები ჩემთან ამოდით!

ოციოდე კაცი ფიცარნაგისაკენ გაემართა, მაგრამ მათი რიცხვი სამამდე დავიდა, როდესაც ჟაჟუმს გვერდით ერთი ბეხლენი და საშინლად დაკუნთული კაცი დადგა. რუფომ, ასე ერქვა დაკუნთულს, ერთი მათგანი კისრით დაითრია და ისეთი ძალით დაახეთქა, რომ ფიცარნაგი გაიბზარა, მეორეს ხელები წელზე მოხვია, თავზევით აიტაცა და ბრბოში ისროლა, მესამემ კი თავს გაქცევით

უშველა. რუფო ჟაჟუსკენ შეტრიალდა და თავი დახარა. უზომოდ კმაყოფილ ჟაჟუს, ის იყო, რუფო მთავარსარდლად უნდა ელიარე-ბინა, რომ დუდუსის ხმა გაისმა:


– მე დავეჭიდები!

სიჩუმე ჩამოვარდა.

დუდუსი ფიცარნაგზე ავიდა. მის დანახვაზე შეკრებილებს სიცილი წასკდათ.

– ვხედავ, სხვისი დაცინვა თქვენც გყვარებიათ. ლუანდროს გამო ლამაზეთის ციხე-ქალაქის მცხოვრებნი რად უნდა დაისაჯონ?! – ბრბოს გასძახა დუდუსიმ.

ზოგიერთმა სიცილი შეწყვიტა. ჟაჟუმ რუფოს უბიძგა. რუფო მონინალმდეგისკენ წავიდა და, ის იყო, ხელი უნდა ეტაცა, რომ დუდუსი გვერდზე გახტა და ბეხლენი ხახამშრალი დატოვა. რუფოს აღელვება დაეტყო და დუდუსისაკენ გავეშებული გაემართა,



მაგრამ კაცუნა ფეხებშუა მოხერხებულად გაუძვრა, მკვირცხლად შემოტრიალდა და ნემსებივით თმები ზურგში აძგერა. რუფო სიმნრისაგან შეხტა, გაბზარული ფიცარნაგი ჩაამტვრია და შიგ ფეხი გაეჩხირა. ამ დროს გაკოჭილი ლოკოსი შემოიყვანეს.

– ლამაზთა ციხე-ქალაქის ჭიშკართან შევიპყართ, მცველები-სათვის თავდასხმის ამბავი უნდა ეცნობებინა. ეს გამცემი მაგ ვაჟბატონის მეგობარია! – ტუჩმოღრეცილმა მეეტლემ ხელი დუდუსისაკენ გაიშვირა.

ამ ცნობით ნასიამოვნებმა ჟაჟუმ დუდუსისა და ლოკოსის დილეგში ჩამწყვდევა ბრძანა. იატაკში ფეხგაჩხერილი რუფო კი დარცხვენილი იყურებოდა.

– გამთენიისას გავილაშქრებთ! – ჟაჟუს ხმა ტაშის გრიალში ჩაიკარგა.

მეგობრები დილეგში ჩაყარეს.

– რა ვენათ, როგორ გავაფრთხილოთ ლამაზთა ციხე-ქალაქის მცხოვრებნი ან რანაირად შევაჩეროთ ეს საშინელი ლაშქრობა? – თქვა დუდუსიმ და ზურგს უკან ხელებგაკრულ ლოკოსის შეხედა. თავადაც ძალიან სტკიოდა თოკით გაკოჭილი ხელები.

დილეგის რკინის გისოსებში ბინგო შემოძვრა და დუდუსისთან მიცუნცულდა.

– ბინგო, აქ საიდან გაჩნდი? – სიხარულით წამოიძახა დუდუსიმ.

– დამიჭირეს, გარეთ გამომაგდეს და მეც ყნოსვით მოგაგენი, – მიუგო ძაღლმა.

– ცაბუ, ცაბუ როგორ არის?

– მონყენილია, სულ შენზე ფიქრობს. წამოსვლა უნდა, მაგრამ არ უშვებენ.

– ბინგო, იქ ყველას ვეჯავრებით?

– ბევრს ვეცოდებით, მაგრამ ლუანდროს შიშით ხმას ვერ იღებენ, – ძაღლმა თოკები გადაღრღნა და ტყვეები გაათავისუფლა.



– გამთენიისას ჟაჟუ ლამაზთა ციხე-ქალაქისაკენ გაილაშქრებს, – თქვა შეფიქრიანებულმა დუდუსიმ.

– კიდევ ერთხელ ვცადოთ და მცველები გავაფრთხილოთ.

– არაფერი გამოვა. ჟაჟუს მებრძოლებმა ციხე-ქალაქის მონღღრეული კარი შეაკეთეს და საიმედოდ ჩარაზეს, – თქვა ბინგომ.

– რალაც მოვიფიქრე. სასწრაფოდ საბასთან წავიდეთ! – დუდუსი რკინისგისოსებიანი ფანჯრისკენ გაემართა.

დილეგიდან დიდი წვალეებით გამოძვრნენ, ქუჩებში ფრთხილად იარეს და ბერიკაცის სახლს მიადგნენ. ლოლა კვლავ აივნის მოაჯირზე იჯდა. მათ დანახვაზე ბერიკაცს გასძახა. კარი გაიღო და საბა გამოვიდა.

– ლოლა უნდა დაგვეხმაროს და ლამაზთა ციხე-ქალაქში გადაგვაფრინოს, – თქვა დუდუსიმ, – შეძლებს?

– დარდი ნუ გაქვთ, ლოლას ეგ არ გაუჭირდება.

ლოლა აივნის მოაჯირიდან ჩამოხტა. დუდუსი, ლოკოსი და ბინგო ფრინველს შეასხდნენ. ლოლამ მძლავრი ფრთები აიქნია, ცაში აიჭრა, უცნაურთა ციხე-ქალაქი შეუმჩნევლად დატოვა და ლამაზთა ციხე-ქალაქში მშვიდობიანად დაეშვა. ირგვლივ ყველაფერი ჩახჩახებდა.

ბინგომ ერთ-ერთი სახლის ფანჯარასთან მიირბინა. ფანჯრის რაფასთან ცაბუ იჯდა და დამნუხრებულს თავი დაეხარა. დუდუსიმ მინაზე დააკაკუნა. ცაბუ შეკრთა, მაგრამ მეგობრის დანახვაზე სიხარულისგან ფეხზე წამოხტა. დუდუსი და მზეთუნახავი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

– ეს ჩემი მეგობარია, ლოკოსი! – თქვა დუდუსიმ.

– ძალიან ვდარდობდი, კიდევ კარგი გამოჩნდი.

– ცაბუ, შესაძლოა, დიდი უბედურება დატრიალდეს, გამთენიისას ჟაჟუ გამოლაშქრებას აპირებს!

– სასწრაფოდ ლუანდრო უნდა გავაფრთხილოთ, – თქვა ლოკოსიმ.

– ეგ უარესი იქნება. ლამაზთა ციხე-ქალაქიც საბრძოლველად გაემზადება და უბედურებას ვერ ავიცილებთ, – ცაბუ მცირე ხნით დაფიქრდა და აღტაცებით შესძახა, – მოვიფიქრე!



– რა?! – ერთდროულად იკითხეს დანარჩენებმა.

– გოგონას სახლში უნდა დავბრუნდეთ, მხატვარი გოგონას სახლში.

– ვისი? – სიტყვა გაანყვეტინა ლოკოსიმ.

– გოგონასი, რომელმაც დამხატა.

– მერე?

– მისი ფერადი ფანქრები უნდა წამოვიღოთ. სანამ ჟაჟუ ლაშქარს გამოიყვანს, უცნაურთა ციხე-ქალაქის გალავანსა და ქონგურებს ისევე ლამაზად მოვხატავ, როგორც ლამაზთა ციხე-ქალაქისაა. ყველას ულამაზესებად ვაქცევ.

ლოლამ მეგობრები ზურგზე შეისვა და გაფრინდა. მხატვარი გოგონას სახლის შესასვლელთან ისინი თავგმა შეაჩერა:

– ფრთხილად, ოთახში კატაა!

– ეგ არაფერი! – ამყად თქვა ბინგომ და ოთახში ყეფით შევარდა.

კატამ იცნო თავზეხელაღებული ძაღლი და გასვლა იკადრა. ფანქრები გაინაწილეს და უკან გამობრუნდნენ.

– ლოლა, აგერ, იმ სასახლის სახურავზე დაეშვი. – თქვა ცაბუმ.

– მანდ რა გვინდა? – გაუკვირდა დუდუსის.

– ჯერ ლამაზთა ხელმწიფეს უნდა ვენვიოთ.

– რისთვის?

– მინდა, დაცინვისა და აბუჩად აგდების სიმწარე ლუანდრომაც გამოსცადოს.

– რას აპირებ? – იკითხა ლოკოსიმ.

– ლუანდროს საძინებელში შევიპაროთ და ყველაფერს გაიგებთ.

ლოლა სასახლის სახურავზე დაეშვა. მეგობრები სხვენში შეძვრნენ. სხვენიდან კი ხელმწიფის სანოლ ოთახში ჩაიპარნენ.

ცაბუ მძინარე ხელმწიფეს მიუახლოვდა და ფანქრით ბუერასავით თმა, ვეება ტუჩები და ტაფასავით ყურები მიახატა.

– ვიჩქაროთ, უცნაურთა ციხე-ქალაქის გალავანი გათენებამდე



უნდა მოვხატოთ, – თქვა დუდუსიმ.

მეგობრები მთელი ღამე, მთვარის შუქზე ხატავდნენ.

გამთენიისას, როდესაც შევერცხლილი კარი გაიღო და ლაშქარი კარიბჭიდან გამოიშალა, გაოგნებული მებრძოლები მოოქრულ ქონგურებს მონუსხულები მიაჩრდნენ.

– ეს რა ხდება? — იყვირა ჟაჟუმ.

– ჩვენი ციხე-ქალაქის გალავანი და ქონგურები უფრო ღამაზია, – თქვეს აქა-იქ.

– ამათ აქ რა უნდათ?! – შეჰყვირა ჟაჟუმ დუდუსისა და ლოკოსის დანახვაზე, – შეიპყარით!

მეგობრებს მცველები მისცვივდნენ.

– ეს ღამაზთა ციხე-ქალაქის ჯაშუში იქნება, – ჟაჟუმ ხელი ცაბუსკენ გაიშვირა.

– ჟაჟუ, რაღაც მათქმევინე! – იყვირა დუდუსიმ.

– ყველანი დილეგში ჩაყარეთ! დროა, შეტევაზე გადავიდეთ! – ბრძანა ჟაჟუმ.

– თქვას, გავიგოთ რა უნდა! – შესძახეს მებრძოლებმა.
– კარგი, ოღონდ სწრაფად, – ლაპარაკის ნება დართო ჟაჟუმ.
– ომი და სისხლისღვრა არ გვინდა. მზეთუნახავ ცაბუს დახმარებით მთელ ქალაქს ათასწრად მოვხატავთ, ყველას ლამაზებად გაქცევთ, – თქვა დუდუსიმ.

– შენი თავი ვერ გაგილამაზებია, ჩვენ როგორ გვიშველი? – გადაიხარხარა ჟაჟუმ.

მზეთუნახავმა ჟაჟუს ხელი და თვალი მიახატა.

– ვაა! – ლაშქარს აღტაცების ყიჟინამ გადაუარა.

– ეს კარგი, მაგრამ ლამაზთა ხელმწიფე უნდა დაისაჯოს! – გადაჭრით თქვა ჟაჟუმ.

– ის უკვე დაისაჯა! – მიუგო ცაბუმ.

– რანაირად?

– ტაფისყურება ლუანდრო ავკაცობას, ალბათ, ძალიან ნანობს. ლამაზთა ციხე-ქალაქის კარი გაიღო და ქონგურზე გადმომდგარმა შუბოსანმა საზეიმოდ განაცხადა:

– ლუანდროს ბრძანებით, ამიერიდან ციხე-ქალაქის კარიბჭე ყველასთვის ღიაა!

მებრძოლებმა სიხარულისგან ქუდები ცაში აისროლეს.

– საომრად მივყავდით, ჟაჟუც დასასჯელია! – გაბედა ერთმა ჯარისკაცმა და მის ნათქვამს სხვებიც დაეთანხმნენ.

ამასობაში ლამაზთა ციხე-ქალაქიდან ლუანდრო გამოვიდა. მას სახე კაშნეში ჩაემალა. ცაბუ ხელმწიფესთან მივიდა, კაშნე მოხსნა და ისევ ლამაზი თმა, პირი და ყური მიახატა.

– ხელმწიფედ დუდუსი ავირჩიოთ! – გაისმა ვილაცის ხმა და მალე ორივე ციხე-ქალაქის მცხოვრებნი დუდუსის გამეფებასა და ცაბუს გადედოფლებას დაჟინებით მოითხოვდნენ.

სკოლიდან დაბრუნებულმა გოგონამ გალეული ფანქრების დანახვაზე გაკვირვებისაგან მხრები აიჩეჩა. მერე მაგიდასთან დაიხარა და სახტად დარჩა. ფურცლიდან მზეთუნახავი გამქრალიყო, სამ-

აგიეროდ ლამაზი ასოებით ეწერა: „დიდი მადლობა. მზეთუნახავი ცაბუ“. გოგონა დედასთან გაიქცა, მაგრამ ნახატის გაუჩინარებისა და წარწერის შესახებ ვერაფერი შეიტყო და ვერც ვერაფერს გაარკვევს, სანამ ამ ზღაპარს არ წაიკითხავს ანდა რომელიმე თქვენგანი არ მოუყვება.

ერთმანეთზე ულამაზესი ციხე-ქალაქების მიგნება ადვილი არ არის, თუმცა, თუ ძალიან, ძალიან მოინდომებთ აუცილებლად იპოვნით.





გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №47
E – mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22



საერთოველმ
პულზურომ, სომობინა
და პხელგანზოფობინ
საინინზრო



პომეპოვინით
საერთოველმ

ინინ ბაპოინა საერთოველმ კულზუინ, სომობინა და პხელგანზოფობინ
საინინზრო და „პომეპოვინით საერთოველმ“ სოლზინინით

